



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის



სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები

11 მაისი, 2017



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ძირითადი ტენდენციები სასამართლო სისტემაში (2012-2016)



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

ზოგადი ტენდენცია

- 2012 წლიდან დღემდე რიგი პოზიტიური ცვლილებები განხორციელდა, თუმცა სასამართლო სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა რაც სისტემის ჩაკეტილობასა და არაფორმალური მოლაპარაკებების წარმოებაში გამოიხატება.
- მსგავსი ვითარება მოუხელთებელს ხდის სისტემაში არსებული პრობლემების ნათლად დანახვას და ართულებს სასამართლოში არსებული ვითარების სისტემურ ანალიზს.



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა

- სასამართლო რეფორმის „პირველი ტალღის“ რეფორმა მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად შეფასდა.
- რეფორმის „მეორე ტალღის“ ფარგლებში მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნის წესის ამოქმედებამ ცალსახად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა.
- მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილებისა, „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო პაკეტი არ ასახავს იმ არსებითი ხასიათის რეკომენდაციების დიდ ნაწილს, რაც როგორც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ისე ვენეციის კომისიამ წარადგინა.



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საქმიანობა

- 2015 წლიდან საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობით მიღწეული პლურალიზმის და წარმომადგენლობითობის მდგომარეობა გაუარესდა.
- 4 წლის მანძილზე ვერ მოხდა საბჭოს მე-15 წევრის არჩევა პარლამენტის მიერ, რომელიც ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მონაწილეობით უნდა ყოფილიყო შერჩეული. „მესამე ტალღის“ ცვლილებებით პარლამენტი საბჭოს ყველა არამოსამართლე წევრს უბრალო უმრავლესობით აირჩევს.



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნა და კონკურსის გარეშე გადაყვანა

- მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს ახასიათებდა გამჭვირვალობისა და საჯაროობის დაბალი ხარისხი; მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა.
- საბჭოს საჯარო სხდომებზე დასწრება არ იძლეოდა იმის შეფასების საშუალებას, თუ რა მოტივით აძლევდა საბჭოს ცალკეული წევრი ამა თუ იმ კანდიდატს ხმას.
- 2011-2015 წლებში მოსამართლეთა კონკურსის გარეშე გადაყვანის/დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღებოდა დასაბუთების გარეშე, პროცედურების მხოლოდ ფორმალურად ჩატარების შედეგად.



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის

სასამართლოს დამოუკიდებლობა სისტემის შიგნიდან მომდინარე ზეგავლენებისგან

- უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა, რომ სასამართლო კორპუსში არსებობს მოსამართლეთა ჯგუფი, რომელსაც აქვს ბერკეტი ზეგავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.
- მოსამართლეთა ერთი ჯგუფი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არიან შემწყნარებელი მოსამართლეთა კორპუსის სხვა წარმომადგენლების მხრიდან გამოთქმული კრიტიკის მიმართ. მსგავსი ვითარება ძირს უთხრის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას



კოალიცია

დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის